



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 15

2020 წ. "02" 03

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3² პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

თავმჯდომარე

მდივანი

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წელი.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 01 აგვისტოს სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №1006342 (ცენტრში რეგისტრაციის №1009426, 1009469, 1009543, 1009607, 1009698, 1009785, 1009846, 1009908, 1009931, 1010244, 1010264) სააკრედიტაციო განაცხადი „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 03 სექტემბრის №778 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მადიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 ნოემბრის №1099 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 25 ნოემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 21 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თავმჯდომარე

მდივანი



2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 02 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მამიებელს უნდა მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

2.5. საბჭომ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი რეკომენდაციები:

ა) მოეწყოს ახალი ქიმიური ლაბორატორიების ან გამოყენებულ იქნეს სან-დიეგოს უნივერსიტეტის ლაბორატორიები, ასევე, უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი ხელსაწყობით და ქიმიური ჭურჭლით აღჭურვა;

ბ) ყველა ლაბორატორიული მეცადინეობა ჩატარდეს სრულყოფილად აღჭურვილ ლაბორატორიებში და ლაბორატორიული საათების რაოდენობები ისე გაიზარდოს, რომ სილაბუსებში გაწერილი ექსპერიმენტების ჩატარება ყველა სტუდენტმა სრულფასოვნად შეძლოს;

გ) პროგრამაში გასწორდეს სტრუქტურული შეუსაბამობები (არაორგანულ სინთეზს და ანალიზის ინსტრუმენტულ მეთოდებს დაემატოს პრერეკვიზიტები);

დ) დაიხვეწოს სილაბუსების შინაარსები და აღმოიფხვრას ჩამოთვლილი პრობლემები: (სამ სილაბუსში შინაარსი მოვიდეს საგნის დასახელებასთან თანხვედრაში, ანალიზის ინსტრუმენტულ მეთოდებს დაემატოს ანალიზის თანამედროვე მეთოდები (IR, NMR, UV-Vis, AAS, GC, MS, HPLC) და დაემატოს პრერეკვიზიტი, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში დაზუსტდეს კონკრეტულად რისი გაკეთება მოეთხოვება სტუდენტს;

ე) პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის სამსახურის მხრიდან სილაბუსების შინაარსებზე, სასწავლო კურსების შინაარსებზე და მათ სრულფასოვნად ჩატარებაზე განხორციელდეს ეფექტური ხარისხის კონტროლი;

ვ) სტუდენტების კვლევაში ჩართვა უნდა ხდებოდეს სისტემატურად, ყველა სტუდენტს გრანტისგან დამოუკიდებლად უნდა ჰქონდეს კვლევაში ჩართვის შესაძლებლობა;


ზ) მოეწყოს და აღიჭურვოს ქიმიის ლაბორატორიები ისე, რომ ყველა სტუდენტმა შეძლოს ექსპერიმენტებში მონაწილეობა;

თ) შეიქმნას ეფექტური მექანიზმი ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოსაზიდად;

ი) შეიქმნას აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების უფრო ეფექტური მექანიზმები და უზრუნველყოფილ იქნას მათი უკეთ ინფორმირება (მაგალითად, გაიწეროს არსებული ბონუსის სისტემის შესახებ პერსონალის სრულად ინფორმირების და შერჩევის კრიტერიუმები ყველასთვის გასაგებად);

თავმჯდომარე

მდივანი



კ) ცალ-ცალკე გაიწეროს ქიმიის საბაკალავრო პროგრამისთვის აუცილებელი რეაქტივების, სახარჯი მასალების, ქიმიური ჭურჭლის, ხელსაწყოების შეძენის ხარჯები და მოხდეს ამ ყველაფრის დროული შესყიდვა;

ლ) პროგრამის შეფასების გაუმჯობესებისათვის და შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი სამიზნე ნიშნულების შემუშავება და პროგრამის შეფასების მონაცემების აღნიშნულ ნიშნულებზე დადარება;

მ) უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების მაქსიმალური ინფორმირება გამოკითხვების პროცესებში და მათთვის შესაბამისი უკუკავშირის მიწოდება;

ნ) პროგრამის შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით, მოხდეს მონიტორინგის გეგმის შემუშავება, რათა უფრო ეფექტური იყოს პროცესები პროგრამის განვითარებისათვის;

ო) პროგრამის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარგის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება სწავლების პროცესში.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3² ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-7 პუნქტების, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 02 მარტის №04 სხდომის ოქმის №04 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).


4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) მოეწყოს ახალი ქიმიური ლაბორატორიების ან გამოყენებულ იქნეს სან-დიეგოს უნივერსიტეტის ლაბორატორიები, ასევე, უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი ხელსაწყოებით და ქიმიური ჭურჭლით აღჭურვა;

ბ) ყველა ლაბორატორიული მეცადინეობა ჩატარდეს სრულყოფილად აღჭურვილ ლაბორატორიებში და ლაბორატორიული საათების რაოდენობები ისე გაიზარდოს, რომ სილაბუსებში გაწერილი ექსპერიმენტების ჩატარება ყველა სტუდენტმა სრულფასოვნად შეძლოს;

თავმჯდომარე

მდივანი



გ) პროგრამაში გასწორდეს სტრუქტურული შეუსაბამობები (არაორგანულ სინთეზს და ანალიზის ინსტრუმენტულ მეთოდებს დაემატოს პრერეკვიზიტები);

დ) დაიხვეწოს სილაბუსების შინაარსები და აღმოიფხვრას ჩამოთვლილი პრობლემები: (სამ სილაბუსში შინაარსი მოვიდეს საგნის დასახელებასთან თანხვედრაში, ანალიზის ინსტრუმენტულ მეთოდებს დაემატოს ანალიზის თანამედროვე მეთოდები (IR, NMR, UV-Vis, AAS, GC, MS, HPLC) და დაემატოს პრერეკვიზიტი, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში დაზუსტდეს კონკრეტულად რისი გაკეთება მოეთხოვება სტუდენტს;

ე) პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის სამსახურის მხრიდან სილაბუსების შინაარსებზე, სასწავლო კურსების შინაარსებზე და მათ სრულფასოვნად ჩატარებაზე განხორციელდეს ეფექტური ხარისხის კონტროლი;

ვ) სტუდენტების კვლევაში ჩართვა უნდა ხდებოდეს სისტემატურად, ყველა სტუდენტს გრანტისგან დამოუკიდებლად უნდა ჰქონდეს კვლევაში ჩართვის შესაძლებლობა;

ზ) მოეწყოს და აღიჭურვოს ქიმიის ლაბორატორიები ისე, რომ ყველა სტუდენტმა შეძლოს ექსპერიმენტებში მონაწილეობა;

თ) შეიქმნას ეფექტური მექანიზმი ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოსაზიდად;

ი) შეიქმნას აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების უფრო ეფექტური მექანიზმები და უზრუნველყოფილ იქნას მათი უკეთ ინფორმირება (მაგალითად, გაიწეროს არსებული ბონუსის სისტემის შესახებ პერსონალის სრულად ინფორმირების და შერჩევის კრიტერიუმები ყველასთვის გასაგებად);

კ) ცალ-ცალკე გაიწეროს ქიმიის საბაკალავრო პროგრამისთვის აუცილებელი რეაქტივების, სახარჯი მასალების, ქიმიური ჭურჭლის, ხელსაწყოების შეძენის ხარჯები და მოხდეს ამ ყველაფრის დროული შესყიდვა;

ლ) პროგრამის შეფასების გაუმჯობესებისათვის და შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი სამიზნე ნიშნულების შემუშავება და პროგრამის შეფასების მონაცემების აღნიშნულ ნიშნულებზე დადარება;

მ) უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების მაქსიმალური ინფორმირება გამოკითხვების პროცესებში და მათთვის შესაბამისი უკუკავშირის მიწოდება;


ნ) პროგრამის შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით, მოხდეს მონიტორინგის გეგმის შემუშავება, რათა უფრო ეფექტური იყოს პროცესები პროგრამის განვითარებისათვის;

ო) პროგრამის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარგის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება სწავლების პროცესში.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 13 დეკემბერს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 თავმჯდომარე

მდივანი



კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს მდივანი



ირაკლი ბურდული

ნიკოლოზ კიკნაძე

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი ²	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 13 დეკემბრის №279
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ³	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური ⁴	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე ⁵	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ⁶	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი ⁷	0503
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი ⁸	საქართველო 0160, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №69, II კორპუსი
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 13 დეკემბერი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ⁹	-
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2021 წლის 13 დეკემბერი

¹ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

² ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

³ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

⁴ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

⁵ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

⁶ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁷ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

⁸ ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

⁹ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში თავმჯდომარე

მდივანი

